საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის სარკისებური შედარების ანგარიში

STATISTICS DENMARK

TWINNING

თბილისი
2021

15.10.2021

საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკის სარკისებური შედარების ანგარიში

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა, ევროკავშირის პროგრამა Twinning-ის პროექტის ფარგლებში, დანიის სტატისტიკის სამსახურის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით, 2019 წლის აპრილიდან 2021 წლის მაისის ჩათვლით პერიოდში, **საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკაში სარკისებური შედარება** განახორციელა.

ასიმეტრიის ანალიზისათვის გამოყენებული იქნა მონაცემთა სამი ძირითადი წყარო: საქსტატის მონაცემები, ევროსტატის (Comext) და გაეროს (Comtrade) გლობალურ მონაცემთა ბაზები.

თეორიულად, ერთი ქვეყნიდან განხორციელებული ექსპორტი სარკის ანარეკლივით უნდა აისახოს პარტნიორი ქვეყნების იმპორტში და პირიქით. პრაქტიკაში კი, მათ შორის განსხვავებებია და ზოგჯერ მნიშვნელოვანიც. საგარეო ვაჭრობის მონაცემების **სარკისებური ანალიზი** წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ხშირად გამოყენებულ მეთოდს პარტნიორი ქვეყნების ურთიერთვაჭრობაში სტატისტიკურ მონაცემებს შორის არსებული განსხვავების სიდიდის და შესაბამისი მიზეზების დასადგენად.

დიაგრამა №1

საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის საქონლით ვაჭრობასთან დაკავშირებული ასიმეტრია 2014-2019 წლებში

(მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი, UN Comtrade მონაცემთა ბაზა.

სარკისებური შედარებისთვის შეირჩა ევროკავშირის წევრი 6 ქვეყანა, ვისთანაც დაფიქსირდა ყველაზე დიდი განსხვავება: ბულგარეთი, საბერძნეთი, იტალია, ნიდერლანდები, გერმანია და რუმინეთი.

მონაცემთა გავრცელების სხვადასხვა პერიოდულობიდან გამომდინარე, სრულყოფილი ანალიზის ჩატარებისათვის შეირჩა 2018 წელი.

ცხრილი №1

საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის არსებული ასიმეტრია 2018 წელს
(მლნ. აშშ დოლარი)

	საქართველოს ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში	ევროკავშირის ქვეყნების იმპორტი საქართველოდან	**განსხვავება**	საქართველოს იმპორტი ევროკავშირის ქვეყნებიდან	ევროკავშირის ქვეყნების ექსპორტი საქართველოში	**განსხვავება**
ბულგარეთი	258.9	381.5	**-122.6**	181.6	209.3	**-27.7**
საბერძნეთი	3.2	3.2	**0.0**	90.6	159.3	**-68.7**
იტალია	43.3	73.0	**-29.7**	231.4	225.5	**6.0**
ნიდერლანდები	46.3	47.4	**-1.1**	205.4	126.8	**78.6**
გერმანია	51.5	85.3	**-33.7**	431.4	444.8	**-13.4**
რუმინეთი	57.8	9.0	**48.8**	209.2	211.2	**-2.0**

წყარო: საქსტატი, UN Comtrade მონაცემთა ბაზა.

უმსხვილესი ასიმეტრიები გამოვლინდა შემდეგ **სასაქონლო ჯგუფებთან**: სპილენძის მადნები და კონცენტრატები, ნედლი ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ბიტუმოვანი ნავთობი და ნავთობპროდუქტები, არარაფინირებული სპილენძი და საავიაციო საწვავი.

სარკისებური შედარების განხორციელების პროცესში საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ორმხრივი ვაჭრობის მონაცემების ანალიზისას, ასიმეტრიის გამომწვევი ძირითადი მიზეზი აღმოჩნდა ევროკავშირის დეკლარანტების მიერ **სატრანზიტო ოპერაციების** არასწორი აღრიცხვა, კერძოდ, ტრანზიტის ოპერაციები ასახული იყო ჩვეულებრივი იმპორტის რეჟიმით. სხვა შესაძლო მიზეზებს შორის ასევე დასახელდა განსხვავება სავაჭრო სისტემებში, მერყევი ვალუტა, ექსპორტზე არსებული შეღავათების მაღალი ზღვარი, საქონლის არასწორი კლასიფიკაცია.

შესაბამის ქვეყნებს მიეცათ რეკომენდაცია მონაცემთა შესადარისობის უზრუნველყოფის მიზნით, მეტი ყურადღება მიექცეს ქვეყნებს შორის სავაჭრო ნაკადების სწორად აღრიცხვას და გაძლიერდეს თანამშრომლობა აღნიშნული მიმართულებით.

საბოლოოდ, დანიელი ექსპერტების მიერ, სარკისებური შედარების ანგარიშში რეკომენდაციის სახით აღინიშნა, რომ სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებმა საგარეო ვაჭრობის მონაცემების ანალიზისას უმჯობესია გამოიყენონ საქსტატის მონაცემები, როგორც ინფორმაციის უფრო საიმედო წყარო.

სარკისებური შედარების დეტალურ ანგარიშს შეგიძლიათ გაეცნოთ საქსტატის ვებ-გვერდზე.

საკონტაქტო პირები:
მაკა კალანდარიშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (300)
E-mail: mkalandarishvili@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020)
E-mail: mkavelashvili@geostat.ge